მოკვდავობის შეხსენების როლი ჰომოსექსუალების მიმართ წინარწმენისა და კულტურული მსოფლმხედველობის გაძლიერებაში

ქეთევანი კახნიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ქეთევან კახნიაშვილი

თარიღი: 28.05.2025

აბსტრაქტი

მოცემულ ნაშრომში შესწავლილია მოკვდავობის შეხსენების გავლენა ჰომოსექსუალებისადმი წინარწმენისა და კულტურული მსოფლმხედველობის გაძლიერებაზე შიშის მართვის თეორიის (TMT) ფარგლებში. კვლევაში 116-მა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა, რომლებიც შემთხვევითი განაწილებით ექსპერიმენტულ (N = 58) და საკონტროლო (N = 58) ჯგუფებში მოხვდნენ. ექსპერიმენტული პრიობის მონაწილეებს საკუთარ სიკვდილზე ფიქრის დროს განცდილი ემოციების აღწერა მოეთხოვათ მაშინ, როცა საკონტროლო ჯგუფმა ნეიტრალური დავალება შეასრულა. შემდეგ, ორივე ჯგუფმა შეავსო სოციალური დისტანციის და კულტურული მსოფლმხედველობის კითხვარები. შედეგებმა აჩვენა, რომ მოკვდავობის შეხსენება აძლიერებს ჰომოსექსუალებისადმი წინარწმენასა და მსოფლმხედველობის პროკულტურულ ფაქტორებს, ანტიკულტურულ ფაქტორებს კი ასუსტებს. აღმოჩნდა ისიც, რომ კაცების წინარწმენა ჰომოსექსუალებისადმი მნიშვნელოვნად აღემატებოდა ქალებისას. ამასთან, ანტიკულტურულ ფაქტორებში ქალებს საშუალოდ უფრო მაღალი ქულები ჰქონდათ, თუმცა ეს სხვაობა მხოლოდ საკონტროლო ჯგუფში იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. კორელაციურმა ანალიზმა გამოავლინა თეორიულად თანმიმდევრული კავშირები: ჰომოსექსუალებისადმი წინარწმენა დადებითად იყო დაკავშირებული პროკულტურულ მსოფლმხედველობასთან, ხოლო ანტიკულტურულ ფაქტორებთან არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი კორელაციები. კვლევის შედეგები ადასტურებს შიშის მართვის თეორიის ძირითად პრინციპებს და აჩვენებს, რომ მოკვდავობის შეხსენებას შეუძლია მნიშვნელოვნად გააძლიეროს კულტურული მსოფლმხედველობა და გაზარდოს სექსუალური უმცირესობებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: მოკვდავობის შეხსენება, წინარწმენა, კულტურული მსოფლმხედველობა, ჰომოსექსუალი, შიშის მართვის თეორია.

Abstract

The present study explores the influence of mortality salience on prejudice toward homosexuals and the strengthening of cultural worldviews within the framework of the Terror Management Theory (TMT). A total of 116 participants took part in the experiment and were randomly assigned to either an experimental (N= 58) or control (N= 58) group. Participants in the experimental condition were asked to write about the emotions they experienced when thinking about their own death, while the control group completed a neutral writing task. Afterwards, both groups completed questionnaires measuring social distance and cultural worldviews. The results showed that mortality salience increased negative attitudes toward homosexuals, strengthened pro-cultural worldviews, and weakened anti-cultural worldviews. Additionally, men showed significantly higher prejudice toward homosexuals compared to women, especially in the control group. Also, women scored higher on anti-cultural factors on average, although this difference was statistically significant only in the control group. The correlational analysis revealed theoretically consistent associations: prejudice toward homosexuals was positively correlated with pro-cultural worldviews, while no statistically significant correlations were found with anti-cultural worldviews. Overall, the findings support the core principles of the Terror Management Theory, suggesting that reminding one's own mortality can significantly strengthen cultural worldviews and increase negative attitudes toward sexual minorities.

Keywords: mortality salience, prejudice, cultural worldview, homosexuals, terror management theory.